პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ნოემბერი, შაბათი, 1987 წ. № 219 (9630) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

ქვეყანაზე ღრუბლიანი წელიწადი

ასეთი ბრწყინვალე სპორტული სეზონით, როგორიც წლევანდელი წელი გამოდგა ნინო სალუქვაძისთვის, ნებისმიერი ტიტულიანი სპორტსმენი იამაყებდა. ტყვიის მსროლელთა უყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრებიდან ქართველი სნაიპერის წარმატებების ამბავი მოვკდიოდა. თვრამეტი წლის სპორტსმენის გამარჯვებათა ჩამოთვლა ჩვენც სიამოვნებას მოვკანიჭებდა, მაგრამ ვამჯობინეთ მათს შესახებ თვითონ ნინოსთან გეესაუბრა, მით უმეტეს, რომ ხელში და ბუდაპეშტში შესანიშნავი გამოსვლების შემდეგ იგი სულ ახლახანს ჩამოვიდა შინ — თბილისში. ნინო სალუქვაძე რედაქციაში მოვიწვიეთ და ეს ინტერვიუ ჩამოვართვით.

ნინო, თქვენმა წარმატებებმა მცირე საფიქრალიც კი გაგვიჩინა: ვერ გადავწყვიტეთ, ამ გამარჯვებებიდან წინ რომელი დაგვეყენებინა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოთხი ოქროს მედლის მოპოვება, გამარჯვება და მსოფლიო რეკორდი ხელში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში თუ ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული უმაღლესი ტიტული. არც ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი გვინდოდა დაგვევიწყებინა...

— წელს მართლაც იღბლიანი სპორტული სეზონი მქონდა. თითქმის ყველგან პირველი ადგილი დავიკავე. მათ შორის მაინც მინდა გამოვყო ის ოთხი გამარჯვება ქვეყნის ჩემპიონატში. ნუ გაიკვირვებთ, რომ იცოდეთ, რა კონკურენცია გვაქვს შინაურ შეჯიბრებებში... თანაც, მედალი ხომ ოთხი იყო.

გეთანხმებით, ასეთი წარმატება მართლაც იშვიათია. ამ დროს სპორტსმენს ალბათ ისეთი გრძნობა ეუფლება, რომ მისთვის შეუძლებელი არაფერია.

— უბრალოდ, ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული. გულით მინდოდა ნაკრებ გუნდში მოხვედრა, რადგან მალე ევროპის ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო. თუმცა წინასწარ რას ვიფიქრობდი, თუ ასეთ შედეგს მივაღწევდი. გუნდში ერთი გოგო გვყავს, უყველა შეჯიბრების წინ აცხადებს, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოო, არ ვიცი, თავს იმხნევებს თუ რა. მე მირჩევნია მხოლოდ კარგ შედეგზე ვიფიქრო და ამისთვის მოვემზადო. თუ ეს მოვახერხე, გამარჯვებაც თავისით მოდის ხოლმე. პირველი მედლის მოგების შემდეგ თავისუფლად ამოვისუნთქე და მერე უყველაფერი როგორღაც თავისით მოხდა. ჩემი მეტოქეებისა ცოტა მერიდებოდა კიდეც, უყველა პირველი ჯილდო რომ „წავართვი“. ჩემზე უფროსები არიან, დამსახურებული მსროლელები.

და მაინც, ევროპის ჩემპიონატზე მწვრთნელებმა იუნიორთა გუნდში გამოგიყვანეს...

— ასე ამიხსნეს, ოლიმპიადის წინ გვინდა რაც შეიძლება ბევრი მსროლელი გამოვცადოთო. სპორტსმენი კი, რომელმაც ჩემი ადგილი დაიკავა, ასაკის გამო იუნიორთა გუნდში ვერ ხვდებოდა. ვიცი, ვერც ოლიმპიურ გუნდში მოხვდება, მაგრამ ასე გადაწყვიტეს და რა უნდა მექნა?

რამდენად მოქმედებს უსამართლობა, დაუმსახურებლად მიყენებული წყენა სპორტსმენის შედეგებზე?

— მსროლელებს ერთი წესი გვაქვს: შეჯიბრების პერიოდში არ გავღიზიანდეთ. მეც ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო განზრახ თუ უნებლიე გულის ტკენასა თუ გამოწვევას.

ასეთი რამეებიც ხდება?

— როგორ არა. 1984 წელს ახალგაზრდულ თამაშებზე ბოლო სერიის წინ ვლიდერობდი. ჩემი უახლოესი მეტოქის ალა ტოვკუნის მწვრთნელი მომიახლოვდა და „მაშვილურად“ დამარიგა, აბა, ნინო, შენ იცი, 48 ქულა მაინც უნდა გააკეთოო. მეც ის 48 ქულა ჩავიჭედე თავში და საბოლოოდ... მეოთხე ადგილზე აღმოვჩნდი. ერთ დაუფიქრებელ თუ ეშმაკურად ნათქვამ სიტყვას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. გუნდის ხელმძღვანელებთანაც ასეა. ცდილობ წყენა დაივიწყო, თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებ.

არც მეტოქეებზე ბრაზდებით?

— არა, ეს, ჯერ ერთი, ჩემს გამოსვლაზე იმოქმედებს. გარდა ამისა, ყოველთვის მჯერა, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ყველა იმ ადგილს დაიკავებს, რომელსაც ისინი იმსახურებენ.

ჰელსინკში, იუნიორთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეთ, მაგრამ თუ თქვენს სპორტულ ფორმას გაჯავალიწინებთ, ალბათ არც უფრ-

იხ. გვ. 4 33

„არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე!“

პატაკი აფხაზეთიდან

აფხაზეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები ჩაბმული არიან ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ ხაკავშირო კონკურს-დათვალიერებაში. საოქტომბროდ აქ მწყობრში ჩადგა ახალი სპორტული ობიექტები, კერძოდ:

სოხუმი

№ 6 სახლმმართველობამ მოაწყო ფეხბურთის ორი მოედანი. ქალაქის ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონში ერთ-ერთი კორპუსის პირველ სართულზე გამოიყო ფართობი და მოეწყო ორი დარბაზი—ტრენაჟორებისა და კრივისა. ახლა აქ 250 მოზარდი მეცადინეობს ახალშექმნილ ბავშვთა კლუბ „ამცაბში“ („ჩირაღდანი“).

წერეთლის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სპორტული დარბაზი. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ამავე ქუჩაზე მდებარე მეორე დარბაზს. ორივე ბაზა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაა.

სოხუმის რაიონში

სოფელ თავისუფლებაში მწყობრში ჩადგა ძალოსნობისა და ჭიდაობის დარბაზები; ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში რეკონსტრუირებულია ფეხბურთის მოედანი; კოლმეურნეობა „შრომაში“ რეკონსტრუირებულია კრივის დარბაზი; ახალსოფლის საშუალო სკოლაში მოეწყო ფრენბურთის მოედანი და მძლეოსნური ბილიკები; ზემო ეშერის აფხაზურ საშუალო სკოლაში გაშენდა „სპორტული ქალაქი“. ახალსოფლის 8-წლიან სკოლაში მოზარდთა განკარგულებაშია ფეხბურთის მინდორი.

გულრიფშის რაიონში

სოფელ ფშავის საშუალო სკოლაში გაშენდა ხელბურთის მოედანი; სოფელ მერხეულის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში მწყობრში ჩადგა ფეხბურთის ახალი მოედანი;

ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში რეკონსტრუირებულია ფეხბურთის მოედანი.

გაგრის ზონაში

ბიჭვინთის 1-ლ საშუალო სკოლაში მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის ახალი მოედნები.

ამირან ზუხბაია,
აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

+1. გვიმრავლოს!



სურათზე: ჩოგბურთის ახალი ცენტრი.

ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ბაზებს კიდევ ერთი ახალი კერა შეემატა. თბილისში, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მწყობრში ჩადგა ჩოგბურთის ახალი ცენტრი, რომელშიც შედის ღია კორტები ღამის განათებით (ძველ კორტებს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია), აშენდა სპეციალური ნაგებობა, რომელსაც აქვს მეთოდური კაბინეტები, სალექციო აუდიტორია, სამედიცინო კაბინეტი, აღდგენითი ცენტრი, საშხაპეები...

კორტებზე უკვე მეცადინეობა დაიწყეს გამჯანსაღებელმა ჯგუფებმა. სულ მალე ეს ახალი სპორტული ბაზა სამეურნეო ანგარიშზე გადავა.

ვახტანგ ჯაფარიძე— ევროპის ჩემპიონი



ვროცლავი. ასეთი წარმატებისთვის საბჭოთა კავშირის იუნიორ ძიუდოისტებს ევროპის ჩემპიონატებში არ მიუღწევიათ. ნაკრების უყველა წევრი შინ მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

ევროპის ჩემპიონები გახდნენ: თბილისელი ვახტანგ ჯაფარიძე (65 კგ), კრასნოიარსკელები ოლეგ მალცევი (78 კგ) და სერგეი კლიშინი (86 კგ). ვერცხლის მედლები დაიმსახურეს: ვოლგოგრადელმა რობერტ დემირჭიანმა (60 კგ), მინსკელმა ლეონიდ სვირიდმა (95 კგ) და რიგელმა იან დარზნიეკსმა (მძიმე). გროზნოელმა შარიპ ვარაევმა (71 კგ) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

პარალელურად ჩატარდა 18 წლამდე ასაკის ძიუდოისტ ქალთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 16 ქვეყნის 100-მდე ათლეტი ასპარეზობდა. საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად მოიპოვეს მედლები. 56 კგ-ში ძერჟინსკელ ირინა კონოვას ვერცხლის ჯილდო ხვდა, მინსკელ ვერონიკა კოზლოვსკაიას (მძიმე) კი ბრინჯაოსი.

სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატი

მოახლოებულ ფინიშთან

რაც უფრო ახლოვდება ფინიში, მით უფრო მძაფრდება ბრძოლა დაფებთან, ხოლო დარბაზში, გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან ჩვენი ქვეყნის წლევანდელი უძლიერესი მოჭადრაკის გამოვლენას.

X ტურში უურადღების ცენტრში იყო გათამაშების ლიდერის ნანა იოსელიანის შეხვედრა ბაქოელ ოსტატ ფირუზა ველიხანლისთან. გათამაშდა სიცილიური დაცვა. ნანამ დებიუტშივე აშკარა უპირატესობა მიიღო, მოიგო პაიკი და შედეგ პარტიაც.

ნინო გურიელისა და ციალა ქასოშვილის შეხვედრაში მეტოქეებმა თავი აარიდეს რთულ თამაშს და პოზიციური თამაში წამოიწყეს. გურიელმა თანდათანობით ხელში ჩაიგდო უპირატესობა და როცა მისმა a პაიკმა მე-7 ხაზს მიაღწია, ქასოშვილი დანებდა.

ლიუდმილა ზაიცევასა და ქეთევან არახამიას პარტიაში დებიუტშივე რთული პოზიცია წარმოიშვა. ზაიცევამ მთელი უურადღება მეტოქის მეფის ფრთაზე გადაიტანა. მალე ორივე მოჭადრაკეს ციაიტნოტი წაოეპარა და თეთრებმა უკეთეს პოზიციაში ვერ მონახეს რამდენიმე ძლიერი სვლა. მასპინძელმა ისარგებლა ამით და მდგომარეობა გაათანაბრა. საბოლოოდ მეტოქენი დაზავდნენ.

ზედიზედ ორი წაგების შემდეგ ელენა ახმილოვსკაიამ დიდი მონდომებით ითამაშა ელმირა ხოროვეცის წინააღმდეგ, დებიუტშივე მიიღო უპირატესობა და გაიმარჯვა.

ამ ტურში სტრუტინსკაია დამარცხდა სახატოვასთან.

XI ტურს შეიძლება გამოუყენებელი შესაძლებლობების ტური ეწოდოს. ასე მაგალითად, ნინო გურიელმა დებიუტშივე პაიკი მოუგო ველიხანლის, პარტია გადავიდა მხედრების ენდშპილში, სადაც ქართველმა დიდოსტატმა ხელიდან გაუშვა მოგების შანსი და მალე მეტოქეები დაზავდნენ.

აშკარა უპირატესობა ვერ გამოიყენა ნანა იოსელიანმაც, რომელიც ირინა ჩელუშკინას ხვდებოდა. საბოლოოდ ამ პარტიაშიც ყაიმი აღინიშნა.

საინტერესო იყო ორი ახალგაზრდა მოჭადრაკის — 19 წლის ქეთევან არახამიასა და 15 წლის ალისა გალიამოვას პარტია. მართალია, მიტელშპილში გალიამოვამ პაიკი მიიღო, მაგრამ მეტოქემ აქტიურად განალაგა ფიგურები და უპირატესობას დაეუფლა — ეტლით შეიჭრა მე-7 ხაზზე, დაიბრუნა პაიკი და ორი გამსვლელი პაიკიც მიიღო.

იხ. გვ. 2 33

გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩი

მეთორმეტე პარტია

მატჩის მესამე პარტიის მსგავსად, მეტოქეებმა ამჯერადაც აარიდეს თავი დიდ შეხლა-შემოხლას და უკვე 21-ე სვლაზე, მსოფლიო ჩემპიონის წინადადებით, დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის პირველი ნახევარი გარი კასპაროვის უპირატესობით (6,5:5,5) დამთავრდა.

გ. კასპაროვი — ა. კარპოვი

ლაზიერის გამბიტი

1. c4 e6 2. ♘c3 d5 3. d4 ♗e7 4. cd ed 5. ♗f4 ♘f6 6. e3 ♗f5 7. ♕ge2 0—0 8. ♖c1 c6 9. ♕g3 ♗e6 10. ♗d3 ♖e8 11. ♘b3 ♘b6 12. ♖c2 ♕d7 13 0—0 g6 14. h3 ♗f8 15. ♕ge2 ♖ac8 16. ♖d2 ♕h5 17. ♗h2 ♕g7 18. g4 ♖d8 19. f3 ♕h6 20. b3 ♗e3 21. ♖c2 ყაიმი.

პროექტი

პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების

წესდება

I. საერთო დებულებები

1. პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება* (პროფკავშირების სნფსს) არის მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ნებაყოფლობით საწყისებზე აერთიანებს მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს და მათი ოჯახის წევრებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს, რომლებსაც სურთ ფიზიკურ კულტურაში, სპორტსა და ტურიზმში მეცადინეობა.

თავის მუშაობას საზოგადოება აფუძნებს თავისი წევრების შემოქმედებით ინიციატივასა და თვითშემოქმედებაზე საკავშირო პროფსაბჭოსა და შესაბამისი პროფკავშირული საბჭოებისა და კომიტეტების ხელმძღვანელობით კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებთან, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებთან, შრომით კოლექტივებთან, შემოქმედებით კავშირებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, ჯანდაცვის, სახალხო განათლების, კულტურისა და ტურიზმის ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში.

2. საზოგადოების ძირითადი ამოცანებია: სკკპ პროგრამის დებულებების განხორციელება მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული სამუშაოს შემდგომი განვითარებისა მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობის გაკაჟების, მაღალი ზნეობრივი თვისებების ფორმირების, მათი მაღალმწარმოებლური შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადების მიზნით; მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმა ფიზიკურ კულტურაში, სპორტსა და თვითმოქმედ ტურიზმში რეგულარულად სამეცადინოდ; მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური დასვენების ორგანიზება; მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა სამუშაო აქტივობის ამაღლება საწარმოო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად; სპორტული რეზერვების მომზადება ქვეყნის ნაკრები გუნდებისთვის.

3. მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად საზოგადოება

აკალიბებს ფიზიკური კულტურის კოლექტივებს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლო დაწესებულებებში; საზოგადოების წევრობაში აბამს მშრომელებსა და მათი ოჯახების წევრებს, მოსწავლე ახალგაზრდობას;

ორგანიზებას უწევს სისტემატურ მეცადინეობებს ფიზიკურ კულტურაში, სპორტსა და ტურიზმში სპორტულ სექციებსა და გუნდებში, გამაჯანსაღებელი მიმართულებების ჯგუფებში, თვითმოქმედ სპორტულ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ კლუბებში, სამოყვარულო გაერთიანებებში ინტერესების მიხედვით, ქმნის საკონსულტაციო პუნქტებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში დამოუკიდებლად მომეცადინეთა დასახმარებლად;

მშრომელთა, მათი ოჯახების წევრთა, მოსწავლეთა შორის ატარებს მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, სპორტულ დღესასწაულებს, სპარტაკიადებსა და ასპარეზობებს, ამასთან ერთად საცხოვრებელი ადგილების მიხედვითაც;

მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, მოსწავლე ახალგაზრდობის შრომისა და სწავლის რეჟიმში ნერგავს საწარმოო ტანვარჯიშს, ახორციელებს სოციალური პროგრამების რეალიზაციას ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში;

ახორციელებს საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და საბჭოთა კავშირის დაცვისათვის“, „სსრ კავშირის ტურისტის“ ნიშნსასთა, სპორტსმენ-თანრიგოსანთა, სპორტის ოსტატობის კანდიდატთა, სსრ კავშირის სპორტის ოსტატთა და სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადებას, ქმნის ამისათვის აუცილებელ პირობებს;

დახმარებას უწევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნათლების სასწავლებლებს, პიონერთა ბანაკებს მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-მასობრივი სამუშაოს ორგანიზებაში, არსებული წესის მიხედვით ხსნის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს. სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აყალიბებს სპეციალიზებულ კლასებს სპორტის სახეობათა მიხედვით;

კომკავშირულ და სხვა ორგანიზაციებთან ერთად ბავშვებში ატარებს მასობრივ სპორტულ თამაშობებსა და შეჯიბრებებს;

ახორციელებს საექიმო კონტროლს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, ტურიზმში მომეცადინეთა ჯანმრთელობაზე, ამუშავებს და ნერგავს სამეცნიერო-მეთოდურ რეკომენდაციებს მასობრივ ფიზიკურ კულტურაში;

ატარებს იდეურ-აღმზრდელობით სამუშაოს ფიზკულტურელებთან და სპორტსმენებთან, ახორციელებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას, რისთვისაც იყენებს პერიოდულ ბეჭდვით ორგანოებს, რადიოს, ტელევიზიას, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებთან ერთად ატარებს სალექციო პროპაგანდას;

განაზოგადებს და ავრცელებს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სასწავლო-სპორტული მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სამეურნეო ორგანოებთან ერთად ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის ქმნის გამაჯანსაღებელ-სპორტულ და სხვა ბანაკებს;

ატარებს ფიზკულტურული კადრებისა და აქტივის მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

ქმნის საზოგადოებრივ ფედერაციებს, კომისიებს, მწვრთნელთა საბჭოებს, მსაჯთა კოლეგიებს, სპორტის ვეტერანთა საბჭოებს;

ავითარებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამუალებით მოსახლეობის ფასიანი მომსახურების ქსელს საამონემენტო ჯგუფებისა და გამაჯანსაღებელი მიმართულების სექციების, გამქირავებელი პუნქტებისა და სპორტული და ტურისტული ინვენტარის შეკეთების, სპეციალისტების კონსულტაციების, ფასიანი სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებების ჩატარების გზით;

დამტკიცებული გეგმების თანახმად ახორციელებს სპორტული ნაგებობების მშენებლობას, იძენს სპორტულ ინვენტარსა და მოწყობილობებს, უზრუნველყოფს სპორტულ-ტექნიკური ბაზისა და მატერიალური რესურსების მზრუნველობითა და ეფექტურ მოხმარებას;

მონაწილეობს კულტურულ-სპორტული კომპლექსების შექმნასა და ორგანიზებაში ქალაქსა და სოფლად;

ავითარებს სპორტული საქონლის წარმოებას საქვეუწყებო სპეციალიზებულ საწარმოებში;

ახორციელებს საერთაშორისო მუშათა და სტუდენტთა სპორტულ კავშირებს. ატარებს საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა სპორტის პოზიციების განსამტკიცებელ სამუშაოებს, აქტივიზაციას უკეთებს პროფკავშირელი სპორტსმენების საქმიანობას ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის საქმეში.

II. საზოგადოების წევრები, მათი უფლებები და მოვალეობანი

4. საზოგადოების წევრობა შეუძლია ყველა მუშას, მოსამსახურეს, კოლმეურნეს, მათი ოჯახების წევრებს, სტუდენტსა და მოსწავლეს, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, აგრეთვე პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში მომეცადინეს, ვინც ცნობს საზოგადოების წესდებას, მონაწილეობს პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში და იხდის საწევრო გადასახადს.

5. პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

5. 1. იმეცადინოს სპორტულ სექციებსა და გუნდებში, გამაჯანსაღებელი მიმართულების ჯგუფებსა და კლუბებში, ისწავლოს კურსებზე, სემინარებსა და შეკრებებზე, აიმაღლოს სპორტული კვალიფიკაცია.

5. 2. მონაწილეობა მიიღოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, თვითმოქმედ ტურისტულ ლაშქრობებში, შეკრებებში და ფიზკულტურულ დღესასწაულებში, გამოვიდეს სპორტულ შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებზე.

5. 3. დადგენილი წესის მიხედვით ისარგებლოს საზოგადოების სპორტული ნაგებობებით, მოწყობილობებით, სპორტული ფორმითა და საერთო სარგებლობის ინვენტარით, ატაროს საზოგადოების ემბლემა და ნიშანი.

5. 4. კრებებზე, პლენუმებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, საზოგადოების საბჭოს ფიზიკური კულტურის კოლექტივების თათბირებზე, პრესაში განიხილოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის საკითხები, შეიტანოს წინადადებები, დაუფარავად გამოთქვას და დაიცვას საკუთარი აზრი ფიზკულტურული ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, გააკრიტიკოს საზოგადოების მუშაკები მათ მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.

5. 5. აირჩიოს და თავად იქნას არჩეული საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებში (16 წლის ასაკის შემდეგ).

5. 6. პირადად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების საბჭოს კრებებში (კონფერენციებში), თათბირებში, ბიუროში, პრეზიდიუმში, როდესაც განიხილება მისი საქციელისა და საქმიანობის საკითხი.

6. პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წევრი ვალდებულია:

6. 1. რეგულარულად იმეცადინოს ფიზკულტურასა და სპორტში, გაიკაჟოს ჯანმრთელობა, მოემზადოს შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის.

6. 2. სისტემატურად გაიაროს სამედიცინო შემოწმება, დაიცვას პირადი ჰიგიენა და საექიმო კონტროლის მოთხოვნა.

6. 3. დაიცვას საზოგადოების ქონება.

6. 4. იყოს შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითი, დისციპლინირებული, დაიკავოს აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

6. 5. გაიფართოვოს თავისი პოლიტიკური და კულტურული თვალთახედვა, მჟაცრად დაიცვას კომუნისტური მორალის ნორმები, გამოავლინოს მაღალი შეგნებულობა საზოგადოებრივი ვალის შესრულებისას, განავითაროს კოლექტივიზმის, ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის პრინციპები, იბრძოლოს სხვადასხვაგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ცხოვრების ჯანმრთელი, ფხიზელი წესის დასაცავად.

7. საზოგადოების წევრად მიღება ხდება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სასწავლო დაწესებულებების ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოების მიერ შემსვლელის პირადი განცხადების საფუძველზე. ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები საზოგადოების წევრად მიღებას ახორციელებენ ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების უფლებებით. საზოგადოებაში მიღებულ პირს ფიზიკური კულტურის კოლექტივის საბჭო აძლევს საწევრო ბილეთს.

8. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობისთვის, მაღალი სპორტული მიღწევისთვის საზოგადოების წევრი შეიძლება დაჯილდოვდეს სიგელით, დიპლომით, მედლით, ქეტონით, სამახსოვრო საჩუქრით, სპორტული პრიზით და ა. შ.

9. წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის საზოგადოების წევრის მიმართ შეიძლება მიღებულ იქნას საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები: შენიშვნა, გაფრთხილება; სასჯელის ზომები: საყვედური და როგორც უკიდურესი ზომა — საზოგადოებიდან გარიცხვა.

საზოგადოების წევრის პასუხისგების დაკისრების საკითხი უპირველეს ყოვლისა წყდება ფიზიკური კულტურის კოლექტივში.

საყვედურისა და საზოგადოებიდან გარიცხვის შემთხვევაში ზემდგომი ორგანიზაცია ამის შესახებ აცნობებს ფიზიკური კულტურის კოლექტივს.

საზოგადოების წევრობიდან გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღება მისი თანდასწრებით ფიზიკური კულტურის კოლექტივის წევრთა კრებაზე. საზოგადოების წევრობიდან გარიცხვის გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად, თუ მას წრილისყრის დროს მხარს დაუჭერს საზოგადოების წევრთა, რომლებიც კრებას (კონფერენციას) ესწრებიან, არანაკლებ ორი მესამედი.

10. საზოგადოების წევრისთვის საყვედურის მოხსნის საკითხი განიხილება ფიზიკური კულტურის კოლექტივის შესაბამისი საბჭოს მიერ არაუგვიანეს ერთი წლისა.

საზოგადოებიდან გარიცხული წევრი კვლავ შეიძლება მიღებულ იქნას საზოგადოების წევრად საერთო წესით, მაგრამ არა ერთ წელიწადზე უფრო ადრე.

საზოგადოებიდან გარიცხულს უფლება აქვს ორი თვის ვადაში გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანიზაციებში საზოგადოების საკავშირო საბჭოს ჩათვლით. განცხადება საზოგადოების შესაბამისი საბჭოების მიერ განიხილება არა უგვიანეს ორი თვის ვადაში. მისი მიღების დღიდან.

(გაგრძელება იქნება)

*. შემდგომში მოკლედ გამოსათქმელად მოიხსენიება როგორც „საზოგადოება“.



საბჭ... ...ლი

12 ნოემბერს შედგა სსრ ... სპორტული ... ტოვარული მატჩი ფუტბ... გის გუნდებს შორის.

„დინამო“ (თბილისი) — ... ნამო“ (კიევი) 1:2 (0:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის ... ბის „დინამოს“ სტადიონი.

თბილისი: გაბელია, (ქ... 73), კეტაშვილი, ჩივაძე, ... სვანაძე, რევიშვილი, ცვ... ლაქველიძე (არწიანი, 46), ... შვილი, გურული, შენგელ...



საქართველოს ...

11 ნოემბერს შედგა რუ... კის ! ჯგუფის საფეხბურთო ... ონატის ორი გამოტოვებუ... ტჩი: „ქართლი“ (გორის ... ფიზკულტურის ინსტიტუტ... ლისი) 1:1, „სპური“ (წა... — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1. ... გთავაზობთ II ჯგუფის 32... რის შეხვედრათა შედეგებს:

I ზონა. ჯგუფი. „ალაზანი“ ... ჯაანი) — სასოფლო-სამეურნ... სტიტუტი (თბილისი) 4:0, „... (ლაგოდეხი) — „მეტალისტ... სთავი) 5:1, „ბახტრიონი“ ... — „ფოსტამტი“ (თბილის... „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხი... — „მიონი“-35 (თბილისი) ... რეჯი“ (საგარეჯო) — პო... კური - ინსტიტუტი (თბილ... „სინათლე“-„ინტერნატი“ (... — „სამგორი“ (გარდაბ... სთავის „მშენებელს“ წაგე... ვალა მუხრანის სასწავლო-... მეურნეობის გუნდთან შეხ...

მოახლოებულ ფინიშთან

დასასრული

ამან გადაწყვიტა კიდეც ... ძოლის ბედი ქართველ... დრაკის სასარგებლოდ.

ცისკრის ჭაბუკთა და ... ახმილოვსკაიას პარტიაში ... პოზიცია შეიქმნა. ჭაბუკებ... დიზედ ორი არაზუსტი სვ... კეთა და როცა ახმილოვსკა... იკი ლაზიერში გასვლას ... ოდა, გორელმა ოსტატმა სა... აჩერა.

ამ ტურის სხვა შეხვედრ... დამთავრდა: მატვეევა-ზაი... 1:0, ლიტბნსკაია-პოლნარ... 1:0, ლელჩუკი-სოფიევა — ... ხატოვა-შაფრანსკა — 1:0, ... ეცი-სემიონოვა — 1:0, ეიდ... სტრუტინსკაია — 0,5:0,5.

გუშინ X ტურის გადაწყ... რტიაში თამაშის განუახლებ... ზავდნენ შაფრანსკა და ლ...

ამრიგად, 11 ტურის შემდ... დერთა ჯგუფში ასეთი მდ... ობაა: ნანა იოსელიანი, მატ... ტინსკაია — 8-8 ქულა, ნინო... იელი, რაისა ეიდელსონი — ... ელენა ახმილოვსკაია, გუნ... ხატოვა — 7-7, ქეთევან ... სეტლანა მატვეევა, ალლა ... მოვა — 6,5-6,5.

თამარ ხუბა...
საერთაშორისო ...

ევროპის ბიბლიოთეკა

თბილისისა და კიევის დინამოელ ფეხბურთელთა განვლილი მატჩის წინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე მოეწყო ჩვენი ცნობილი ფეხბურთელის რევაზ ჩელებაძის გაცილების საზეიმო ცერემონიალი. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა, ორივე გუნდის მოთამაშეებმა ღირსეული პატივი მიაგეს სპორტსმენს, რომელმაც თბილისისა და ბათუმის დინამოელთა კოლექტივებში, საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ფეხბურთის, ჩვენი სპორტის განვითარებაში.

სურათზე: რევაზ ჩელებაძის საზეიმო გაცილება მწვანე მინდვრიდან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საკავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ლიგა

კიევი: ჩანოვი, შმატოვალენკო, ევსეევი, გორილი, დემიანენკო, რაცი, იაკოვენკო, ბალი, მიხაილიჩენკო, ბელანოვი, ბლოხინი (ევტუშენკო, 72).

მხარი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).

კიეველი და თბილისელი ფეხბურთელები სულ ახლახან, რამდენიმე დღის უკან შეხვდნენ ერთმანეთს კიევში, ახლა კი თამაში ჩვენს სტადიონზე გაიმართა. ძნელი ამოსაცნობია, რომელია მათგან პირველი და რომელი მეორე წრის შეხვედრა, ჩვენი ჩემპიონატის კალენდრის უწესივრობამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ორივე წრის შეხვედრათა ჩატარება გვიხდება ზედიზედ, და ეს მაშინ, როცა ჩემპიონატის დამთავრებას მხოლოდ ერთი ტური უკლია.

ორივე გუნდი წლევანდელ საკავშირო გათამაშებაში ფრიად წარუმატებლად გამოდის. თბილისის დინამოელთა საქმე ყველას კარგად მოგეხსენებათ, ჩვენმა გუნდმა მხოლოდ ჩემპიონატის ფინიშზე შეძლო საქმის გამოსწორება ისე, რომ დაბლა ლიგაში არ ჩამოქვეითებულიყო, მაგრამ წლეულს არც მის კიეველ თანაკლუბელებს გამოუჩენიათ დიდად თავი. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდმა ფრიად დაბალ დონეზე ითამაშა, საკმარისია ითქვას, რომ აგვისტოდან მოყოლებული კიეველებს სულ ორიოდე გამარჯვება აქვთ მოპოვებული, საბჭოთა ფეხბურთის ერთერთი ფავორიტი სისტემატურად აგებდა შინაც და სტუმრადაც.

თბილისისა და კიევის დინამოელები არც ამ მატჩში გამოირჩეოდნენ მაღალი კლასით, ბრძოლისუნარიანობით ან გამარჯვებისადმი სწრაფვით. ტაიმი ისე დასრულდა, რომ, არსებითად, არც ერთ კართან არ შექმნილა რამდენადმე მაინც საინტერესო მომენტი, ორიოდე შორეული დარტყმა აცდა მიზანს. თამაშის თვალის დევნება ტრიბუნიდან შეიძლებოდა მშვიდად, აუღელვებლად.

მიმდინარეობდა მატჩის 55-ე წუთი, როცა კიეველი იაკოვენკო მეტოქეებთან ბრძოლისას წაიქცა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. არბიტრმა ი. ტიმოშენკომ ამ შემთხვევაში 11-მეტრიანი მიიჩნია, თუმცა, არა გვგონია ამ დარღვევის გამო საჭირო იყო ასეთი უკიდურესი სასჯელის გამოტანა. ყოველ შემთხვევაში, სულ ორი წუთის შემდეგ კიეველთა კარის სიახლოვეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დარღვევა მოხდა, მსაჯმა კი ამ შემთხვევაში პენალტის დანიშვნისაგან თავი შეიკავა. ასეა თუ ისე, 11-მეტრიანი დაინიშნა, ბელანოვმა ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

62-ე წუთზე კიეველებმა სწრაფი საიერიშო კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ზუსტი, ძლიერი დარტყმით დაამთავრა მიხაილიჩენკომ — 2:0. კიეველმა ფეხბურთელმა ამ ეპიზოდში შესანიშნავად ითამაშა.

64-ე წუთზე თავიანთ საჯარიმო მოედანზე კიეველებმა კვლავ უხეშად ითამაშეს. ამჯერად პენალტი დაინიშნა. გურულის დარტყმას მეკარე ჩანოვმა ვერ მიუსწრო — 1:2.

მასპინძლები შემდეგაც ხშირად და სახიფათოდ უტევდნენ, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. თბილისის დინამოელები კვლავ დამარცხდნენ კიეველ თანაკლუბელებთან.

I ლიგის საგზურებისათვის

12 ნოემბერს გაიმართა II ლიგის ზონებში გამარჯვებული ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები. ისინი იბრძვიან გაისად I ლიგაში მონაწილეობის საგზურებისთვის.

წარმატებით ითამაშა სამტრედიის „ლოკომოტივმა“, რომელმაც შინ ანგარიშით 3:2 დაამარცხა სიმფეროპოლის „ტავრია“. ეს იყო „ა“ ჯგუფის შეხვედრა, „ბ“ ჯგუფში კი პერმის „ზვეზდამ“ თავის მინდორზე მოუგო ჩიმკენტის „მელიორატორს“ — 1:0.

სიმფეროპოლის „ტავრია“ და პერმის „ზვეზდა“ 1988 წელს I ლიგაში გამოვლენ. ჯერჯერობით ვაკანტურია „ვ“ ჯგუფის გუნდებისთვის განკუთვნილი საგზური.

I ჯგუფი. „ალგეთი“ (მარნეული) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 1:0, „ზარზმა“ (ადიგენი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „განთიადი“ (დმანისი) 2:1, „მეფრინველე“ (ქასპი) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:0, „ქოლმეურნე“ (მარნეული) — „მარაბდა“ (კოდა) 1:1. დუშეთის „არაგვს“ გამარჯვება ჩაეთვალა ბოგდანოვკის „ფარავანასთან“, წალკის „თრიალეთს“ — ასპინძის „ვარძიასთან“ და ბორჯომის „თორს“ — გორის „ავტომობილისტთან“.

II ჯგუფი. „ალგეთი“ (მარნეული) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 1:0, „ზარზმა“ (ადიგენი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „განთიადი“ (დმანისი) 2:1, „მეფრინველე“ (ქასპი) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:0, „ქოლმეურნე“ (მარნეული) — „მარაბდა“ (კოდა) 1:1. დუშეთის „არაგვს“ გამარჯვება ჩაეთვალა ბოგდანოვკის „ფარავანასთან“, წალკის „თრიალეთს“ — ასპინძის „ვარძიასთან“ და ბორჯომის „თორს“ — გორის „ავტომობილისტთან“.

III ჯგუფი. „იბერია“ (ქარელი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 2:0, „ცენტრმეტალურგშენი“ (ზესტაფონი) — „ჭიმკოსი“ (ონი) 2:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ორპირი“ (ტყიბულის რ-ნი) 1:0, „მეშაქრე“ (აგარა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:2, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 10:3.

IV ჯგუფი. „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 3:4, „უნივერსიტეტი“ (სოხუმი) — „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 4:3, „ალიონი“ (გალის რ-ნი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 5:4, „კოლხეთი“-2 (ფოთი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 2:1. გალის რ-ნის „მზიურს“ გამარჯვება ჩაეთვალა გონიოს „ნარინჯთან“.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მთელი რიგი რაიონები ყოველი საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ დიდ აქტიურობას იჩენენ, რათა მათი გუნდები ჩაერიცხონ რესპუბლიკურ გათამაშებებში, საქართველოს სპორტსაბჭოს ფეხბურთის სამმართველოში და ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციაში. უხვად მოდის დაპირებები, რომ ამ რეგიონებში ყველაფერი კეთდება ფეხბურთის განვითარებისთვის, რომ რეგიონს ჰყავს საფეხბურთო კადრები, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელები ცდას არ დააკლებენ მათი გუნდების მნიშვნელოვან შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლისთვის, მაგრამ დრო გადის და ეს წინასასეზონო ენთუზიაზმიც თანდათან ცხრება. აყოთაყი ნელდება და გუნდების საქმაო ნაწილი, უბრალოდ, არ ცხადდება კალენდარული თამაშებზე. ისინი კარგავენ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხალისს.

ეს მდგომარეობა სამერმისოდ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ვისაც არ შეუძლია რესპუბლიკურ შეჯიბრებებში რეგულარული მონაწილეობა, ან აღა აქვს საამისო შესაძლებლობა, არ უნდა დაკუშვათ ესოდენ მნიშვნელოვანი მასშტაბის გათამაშებაში. არ შეიძლება გააწბილო საფეხბურთო მატჩის სახეზავად მოსული გულშემატკივარი და უთხრა, რომ გაუგებარი, ყოვლად გაუმართლებელი მიზეზის გამო მეტოქე გუნდი არ ჩამოვიდა თამაშზეო.

გარდა ამისა, II ჯგუფის მატჩებისადმი მეტი ყურადღება მართებთ მსაჯებსაც, რომლებიც ფეხბურთის სამმართველოს დროულად არ ატყობინებენ ჩატარებული მატჩების შედეგებს. ამის გამო საშუალებას მოკლებული ვართ ოპერატიულად გამოვაქვეყნოთ II ჯგუფის ქვეჯგუფებში ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები. ასეთი უყურადღებო მსაჯების მიმართ აუცილებლად უნდა მივმართოთ გარკვეულ სანქციებს.

ფეხბურთი

ადრაკი

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლება იგრძნობა ჰადრაკის სასახლეში. აქ საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატის ყოველ ტურზე მოდიან გულშემატკივრები, პრესის მუშაკები. კიროვის პარკში, მიუხედავად ნოემბრის საკმაოდ გრილი ამინდისა, მუდამ ხალხმრავლობაა. ამჟამად ტურნირის ნახევარი განვლილია. გადავწყვიტეთ გავსაუბრებოდით ჩემპიონატის ზოგიერთ მონაწილეს.

რთულია, მაგრამ საინტერესო

საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონი, დიდოსტატი ნანა იოსელიანი წელსაც მონაწილეობს ამ შეჯიბრებაში. აი, რა გვითხრა მან:

— ჩემპიონატი ორმაგად მნიშვნელოვანია ჩემთვის — ჯერ ერთი, ძალიან მინდა შევინარჩუნო ტიტული, მეორეც, ეს შეჯიბრება პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის „გენერალური რეპეტიციაა“... ტრადიციულად, ჩემპიონატი საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით გამოირჩევა. ცოტა არ იყოს, რთული ტურნირია, მაგრამ მასში მონაწილეობა მით უფრო საინტერესოა. საყაიმო პოზიციებშიც კი შეუპოვარი ბრძოლა იმართება. აქ არ არსებობს რთული და იოლი მეტოქე, აუტსაიდერებთანაც კი ძნელია თამაში.

ჯერჯერობით ყველაფერი წინ არის. შეიძლება ყოველ ტურში შეიცვალოს ლიდერთა ჯგუფის შემადგენლობა. ვცდილობ ჩემი თამაში საინტერესო იყოს.

ნინო გურიელმა კარგად დაიწყო ჩემპიონატი და მისი ერთ-ერთი ლიდერიც არის. საინტერესოა, რა აზრისაა თავისი თამაშის შესახებ.

— ერთი შეხედვით, ჩემი თამაში ამ ტურნირში შეიძლება დამაკმაყოფილებელი ჩანდეს, — ამბობს ნინო, — მაგრამ მე მაინც უკმაყოფილო ვარ. რამდენიმე თითქმის ნახევრად მოგებული პარტია ყაიმით დავამთავრე. ესეც არ იყოს, მთელი ტურნირის განმავლობაში ცაიტნოტში ვარ. ეს პრობლემა ჯერჯერობით ვერ დავძლიე.

ტურნირი, რა თქმა უნდა, ძალზე რთულია. ალბათ უყველაფერია მოსალოდნელი...

— დიახ, შეიძლება სულ ორიოდე ტურის შემდეგ ლიდერმა უკან გადაინაცვლოს და პირიქით... ჯერჯერობით უჩვეულო არაფერი მომხდარა. მოჭადრაკეთა თამაში, ჩემი აზრით, სავსებით გამოხატავს მათი მომზადების დონეს.

ვინ მიგაჩნიათ პირველი ადგილის პრეტენდენტებად?

— ნანა იოსელიანი, მარტა ლიტინსკაია, ელენა ახმილოვსკაია... ისე კი, შეიძლება გაუთვალისწინებელიც მოხდეს...

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მეოთხედ მონაწილეობს დიდოსტატი ქეთევან არახამია, რომლის თამაშიც თანდათანობით იხვეწება, სულ უფრო მეტად გამოირჩევა ლრმააზროვნებით, თეორიის კარგი ცოდნითა და მაღალი ოსტატობით.

ქეთინო, ალბათ უყველას გაუკვირდა, ტურნირის დასაწყისში ერთგვარი „ჩავარდნა“ რომ გქონდათ. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

— დანამდვილებით ვერ გეტყვით. შეიძლება სათანადოდ არა ვარ მომზადებული, ამ ეტაპზე ხომ ჩემი მთავარი საზრუნავი პრეტენდენტთა მომავალი ტურნირია...

თქვენთვის ჩემპიონატს ალბათ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი საუკეთესო სკოლაა ნებისმიერი მოჭადრაკისთვის.

— სწორედ ასეა. ამ ტურნირში თამაშის დროს ცხადად დავინახე, რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება, რაზე მომიწევს სერიოზული მუშაობა. ისე, მე მგონი, თანდათან ფორმაში შევედი და იმედი მაქვს, შეჯიბრებას ჯრიგო შედეგით არ დავამთავრებ.

ჩვენ მოჭადრაკეებთან გასაუბრება არ გაგვჭირვებია, მაგრამ სტუმრებთან შეხვედრა გაგვიძნელდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავუკავშირდით საერთაშორისო ოსტატ ლარისა პოლნარიოვას. აი, რა გვითხრა მან:

— პირმოთნეობაში ნუ ჩამომართმევთ და, ძალიან მიხარია, რომ ტურნირი თბილისში ტარდება: აქ მუდამ იგრძნობა ქართული სტუმართმოყვარეობა. შეჯიბრების ორგანიზატორები, ჩანს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ კარგი პირობები შეგვიქმნან, მუდამ ვგრძნობთ მათს ყურადღებას. გვახალისებს და სტიმულს გვაძლევს ისიც, რომ ჰადრაკის სასახლის დარბაზში მუდამ არის მაყურებელი. ალბათ, ყველა მოჭადრაკე დამეთანხმება, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

თქვენ არაერთი ტურნირის მონაწილე ბრძანდებით, ბევრჯერ ძალზე საინტერესოდ გითამაშიათ. რით ახსნით იმას, რომ ამ ტურნირში, ცოტა არ იყოს, უფერულად თამაშობთ?

— ვერაფერს გეტყვით, ალბათ ვერ მოვემზადე სათანადოდ...

ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა ტურნირის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი ვერა ტიხომიროვა.

— წლევანდელი ჩემპიონატი ბევრ საინტერესოს გვპირდებოდა, რადგან მასში საქართველოს წამყვან მოჭადრაკეებს უნდა ეთამაშათ, — განაცხადა მან, — მოგეხსენებათ, საქართველოს უძლიერესი დიდოსტატები მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეები არიან. სამწუხაროდ, მაია ჩიბურდანიძემ ვერ ითამაშა ტურნირში. იგრძნობა, ქართველი დიდოსტატები რომ არ მონაწილეობენ შეჯიბრებაში. მიუხედავად ამისა, ბრძოლა, ვფიქრობ, საინტერესო და დაძაბულია — აქ ხომ პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეები თამაშობენ. ამასთან, სერიოზული, საინტერესო თამაშით იქცევენ ყურადღებას ახალგაზრდები.

ყველასათვის მოულოდნელი იყო ეეთევან არახამიას სამი წაგება ტურნირის დასაწყისში, მაგრამ მან უკვე შეძლო თავისი ძალების კონცენტრირება და ფორმაში ჩადგა. კარგად თამაშობენ იოსელიანი, გურიელი, ახმილოვსკაია, ლიტინსკაია, ელდელსონი... ვფიქრობ, ჩემი მხრიდან ზედმეტი იქნება მათი დახასიათება. ჩემპიონატში პირველად მონაწილეობენ ფირუზა ველიხანლი, ალისა გალიამოვა და ციალა ქასოშვილი. შესანიშნავად თამაშობს 15 წლის ყაზანელი მოჭადრაკე ალისა გალიამოვა, რომელიც მოსკოვის სპეცსკოლაში სწავლობს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, იგი ჩამოყალიბებული, გამოცდილი მოჭადრაკის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფირუზა ველიხანლის ჯერჯერობით არ უმართლებს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ შესანიშნავი იყო მისი პარტია ელმირა ხოროვეცთან.

საინტერესოდ თამაშობს ციალა ქასოშვილი. ჩემი აზრით, მომავალში მას შეუძლია სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოს.

პროგნოზისგან, რაღა თქმა უნდა, თავს იკავებთ...

— გადახედეთ სატურნირო ცხრილს და თავად დარწმუნდებით, რომ ამ ჩემპიონატში ყველაფერი მოსალოდნელია. მონაწილენი ძალზე მჭიდროდ არიან განლაგებულნი. ვნახოთ, ვის გაუღიმებს ბედი.

ყველაზე ღუნღულიანი წელიწადი

დასასრული

ოსებში მიაღწევდით ნაკლებ წარმატებას. მაინც რით განსხვავდება, თქვენი აზრით, იუნიორთა და მოზრდილთა ასპარეზობა?

— პასუხისმგებლობით. მოზრდილთა შეჯიბრებაზე იცი მეტოქეების ძალა და იმასაც გრძნობ, რომ მხოლოდ მთელი ძალების მობილიზებით შეიძლება წარმატების მიღწევა. მე პირადად უფროსების შეჯიბრებაში გაცილებით უკეთესად გამოვდივარ.

⊙ ალბათ მხოლოდ ამით არ აიხსნება თქვენი გამარჯვება სეულში მსოფლიო თასის გათამაშებაზე. მით უმეტეს, რომ იქ მსოფლიო რეკორდიც დაამყარეთ.

— სეულში ჯერ კიდევ საწვრთნელი ვარჯიშის დროს ვიგრძენი, რომ კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი. მაგრამ დიდი შეჯიბრების წინ არ ვარგა, ყურადღების ცენტრში რომ ხარ, მით უმეტეს, თუ წინ ოლიმპიადაა. კორეელი სპეციალისტები მუდამ ტირში ისხდნენ და ვარჯიშზეც კი ყველა ცდას იწერდნენ. მეც ზოგიერთ სერიას ვტოვებდი, რომ ყურადღება არ მიმეპყრო. გულში გადავწყვიტე, რომ მხოლოდ მსოფლიო რეკორდის გამო ღირდა თავის გამოდება. ჩვენი მთავარი მიზანი ის იყო, რომ ოლიმპიურ სასროლეთს შევჩვეოდი.

⊙ როდის იგრძენით, რომ შეიძლებოდა მსოფლიო რეკორდმენი გამხდარიყავით?

— უკვე შეჯიბრების პირველი ნახევრის შემდეგ. მაშინ 297 ქულა მქონდა, ეს ჩემი საუკეთესო მიღწევაა. რჩებოდა სილუეტზე სროლა, სადაც საერთოდ უკეთესი შედეგები მაქვს. იქაც ორი სერია ათიანებით დავიწყე, ამ დროს რატომღაც უკან მოვიხედე, ზღვა ხალხი მოგროვილიყო ჩემს სექტორთან. დაძაბული მომჩერებოდნენ. რატომღაც ერთი ჩინელი მსროლელის ამბავი გამახსენდა, იმასაც ჩემნაირი შედეგი ჰქონდა და მერე ერთბაშად ხუთი ქულა დაკარგა. მე უფრო გამიღიმა ბედმა — მესამე სერიაში 48 ქულა მოვაგროვე. მეტოქეების მაინც აღარ მეშინოდა, უკვე ოთხი ქულით ვიყავი წინ. ძალა მოვიკრიბე და დარჩენილ სერიებში აბსოლუტური შედეგი ვაჩვენე... დამესივნენ, ხელს მართმევდნენ, რაღაცას მეუბნებოდნენ. ყველაზე მეტად სროლის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტ უიტის მოლოცვა გამიხარდა.

⊙ მერე იყო ფინალი, სადაც კვლავ უშეცდომოდ ისროლეთ.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეჯიბრების დროს შესვენებებზე სხვა რამეზე გადაიტანო გულისყური, გაერთო. მეც ავტობუსით გავემგზავრე სასტენდრო ბაზაზე, სადაც იმხაიშვილი გამოდიოდა, ვნახე, რომ საქმე კარგად იყო და უკან დავბრუნდი. შემდეგ იყო ის უშეცდომო, ბოლო სერია.

⊙ 595 ქულა და კიდევ 100, ბრწყინვალე შედეგია... ასეთი რეკორდის შემდეგ ალბათ შეიძლებოდა მშვიდობიანად გამგზავრებულიყავით ბუდაპეშტში, მსოფლიო ჩემპიონატზე.

— ბუდაპეშტში ძალიან დაღლილები ჩავედით, დიდხანს ვიყავით გზაში და ხვირიანად მომზადებაც ვერ მოვასწარით. ჩემს პნევმატურ პისტოლეტსაც რაღაც მოეშალა. რატომღაც ოსტატი არ გვყავდა და იარაღი ბოლომდე მაინც ვერ გავმართეთ. როცა დასვენებული ხარ, იარაღის მცირე გაუმართაობას ნებისყოფის მეტი დაძაბვით ასწორებ. იქ კი ესეც გამიჭირდა და პირად პირველობაში მეოთხე ადგილზე დავრჩი. თუმცა გუნდურში გავიმარჯვეთ — 9 ქულით გავუსწარით პოლონეთის ნაკრებს.

⊙ თქვენს თანატოლებს გაცილებით მეტი თავისუფალი დრო აქვთ. ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო თავისუფლადაც ცხოვრობენ. რაიმეზე გული ხომ არ გწყდებათ?

— რაღაც-რაღაცეებზე კი მწყდება გული, მაგრამ სპორტმა სხვა გზა არ იცის, ბოლომდე უნდა მისდიო საქმეს.

⊙ სპორტსმენის ცხოვრება მართლაც არ არის იოლი. ამასთან ბევრს დაუმსახურებელი წყენაც შეხვდება ხოლმე. თუნდაც ის შემთხვევა გავიხსენოთ, ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებული მოსკოვში ოთხი დღე რომ ელოდით თბილისში გამოფრენას... იქნებ გამართლებულია იმ სპორტსმენთა ხაქციელი, როდესაც ისინი თავიანთი დამსახურებისათვის გარკვეულ პრივილეგიებს ითხოვენ?

— ვერ წარმომიდგენია, ვის რა უნდა ვთხოვო და შევაწუხო. აი, თუნდაც ტელეფონზე... არა არ ჩაწეროთ, იგივე თხოვნა გამოვა (მაპატიოს ნანომ, მაინც ჩაწერეთ. — გ. ჩ.) ისე კი, თუ სპორტსმენს უჭირს, ამის შესახებ რატომ არ უნდა ითქვას ხმამაღლა?

⊙ მამათქვენი მწვრთნელია და შეჯიბრებაზე ჰშირად დაგყვებათ, დედისთვის კი ალბათ მოსატრებული შვილი იქნებით.

— დედა ცალია, ის დარჩა ბულს დიდი სიხარულით მზვდება, მაგრამ მაინც ისევე მექცევა, როგორც ადრე, როცა მუდამ შინ ვიყავი. თუმცა კი ვხედავ, წამდაუწუმ აცხობს ხაჭაპურს, იცის, რომ ძალიან მიყვარს.

⊙ ეს კითხვა ბოლოსთვის შემოვინახე: წლევანდელი წარმატებების შემდეგ გაქვთ თუ არა დაჯავშნილი ადგილი ოლიმპიურ გუნდში?

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ყველაფერს დრო და ახალი შეჯიბრებები გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელები ამის თაობაზე არაფერს მეუბნებიან. ისე მექცევიან, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ალბათ ასეც არის საჭირო, წინასწარ გული რომ არ დავიმშვიდო. სროლა ისეთი სახეობაა, ყველაფერი სწრაფად იცვლება. ერთი სიტყვით, ოლიმპიური საგზურის მოსაპოვებლად კიდევ ბევრი ვარჯიში მომიწევს.

ესაუბრა გიორგი ჩოჩიშვილი.

SOS
ბავშვებს ან არ პირდებიან, ან დაპირებას უსრულებენ

ერთი კი არა, ოთხი გვარი აქვს მიწერილი ამ წერილს და ამ ოთხ გვარს უკან მთელი მიკრორაიონის ბავშვები დგანან.

ზაზა არაბული, დათო გვარამაძე, კახა ნაჭყებია, გურამ ჰასხნოვი და კიდევ სხვები — თბილისის ნუცუბიძის პლატოს პირველ მიკრორაიონში მცხოვრები მოზარდები, დიდი იმედით ადევნებდნენ თვალ-ყურს ახალი საფენბურთო მოედნის მშენებლობას. 9 მაისისთვის აქ უკვე ითამაშებთო, დაჰპირდნენ ნორჩებს. მაგრამ გავიდა დრო და პატარების თვალში ავტორიტეტი შეელახათ რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის მუშაკებს (ტრესტის მმართველი დ. აგლაძე). სახლმმართველობას (სახლმმართველი შ. ნუბიერიძე) მეტი დაინტერესება რომ გამოეჩინა, იქნებ მოგვარებულიყო კიდეც გაჭიანურებული საქმე. დღემდე მხოლოდ ადგილი შემოუღობავთ, ფეხბურთის მოედნის ნაცვლად „ჩონჩხი“ დარჩა.

რედაქციამ კონტროლზე აიყვანა შემოსული წერილი. შემოწმდა მასში მოყვანილი ფაქტების სისწორე.

მოზარდებთან ერთად, ომიხა და შრომის ვეტერანი გიორგი ამილახვარიც ძალიან არის შეწუხებული და უფრო მკაცრად მოითხოვს საკითხის განხილვას.

წერილში მოყვანილი ფაქტების დადასტურება ცოტაა: მთლად გავერანებულა იქაურობა, ქვა-ღორღით ავსებულა, აქა-იქ ფიცრებიც ყრია, ღიად მიუტოვებიათ მომავალი საფენბურთო მოედნის შესასვლელი.

როდის ელირსებიან ბიქები დანაპირებ მოედანს?

მაია იაკობიშვილი.



დასასრულს უახლოვდება ევროპის საფენბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, საკლასიფიკაციო ჯგუფებში სულ რამდენიმე შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი.

II ჯგუფი

პორტუგალიელმა ფენბურთელებმა ქ. პორტუში მიიღეს შვეიცარიის ნაკრები და კიდევ ერთი ქულა დაკარგეს — 0:0. ამ შეხვედრის შემდეგ პორტუგალიის ნაკრებს, არსებითად, ფინალში მოხვედრის ყოველგვარი შანსი გადაეწურა.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შვეიცია	7	4	2	1	11-3	10
იტალია	6	4	1	1	11-3	9
შვეიცარია	7	1	4	2	8-8	6
პორტუგალია	6	1	4	1	5-5	6
მალტა	6	0	1	5	3-19	1

IV ჯგუფი

ინგლისელ ფენბურთელთა სრული უპირატესობით წარიმართა მათი შეხვედრა ბელგრადში იუგოსლავიის ნაკრებთან. იუგოსლავიელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ მატჩზე, მაგრამ ინგლისელებმა ძალზე ძლიერად ითამაშეს, ბერდსლიმ უკვე მე-4 წუთზე გახსნა ანგარიში, შემდეგ ბარნესმა, რობსონმა და ადამსმა კი ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში. მატჩის ბედი პირველ ტაიმშივე გადაწყდა, იუგოსლავიელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ მე-80 წუთზე ერთადერთი პრესტიჟის გოლი გაიტანეს (კატანეცი). ინგლისელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 4:1.

V ჯგუფი

მკითხველმა კარგად იცის, რაც ევროპის ჩემპიონატის V ჯგუფში მოხდა ჰოლანდიისა და კიპროსის გუნდების შეხვედრისას. ჰოლანდიელებმა თავიანთ სტადიონზე როტერდამში გაიმარჯვეს ანგარიშით 8:0, მაგრამ მას მერე, რაც ჰოლანდიელმა ბოსმანმა მატჩის დასაწყისშივე პირველი ბურთი გაიტანა კიპროსელთა კარში, ტრიბუნიდან ისროლეს ბომბი, რომელიც სტუმრების მეკარე ანდრიას ხარიტოუს ახლოს გასკდა. იგი საკაცით გაიტანეს მინდვრიდან და ლუქსემბურგელმა მსაჯმა ფილიპმა თამაში შეწყვიტა. შემდგომში მან გააგრძელა მატჩი, თუმცა შეწყვეტილი იყო 56 წუთის განმავლობაში.

ევროპის საფენბურთო ასოციაციათა კავშირმა განიხილა როტერდამში მომხდარი ეს სერიოზული ინციდენტი, გააუქმა მატჩის შედეგი, ჰოლანდიელებს წაგება მიუსაჯა და ამ ქვეყნის ფენბურთის ფედერაცია 10 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა. როტერდამის სტადიონზე ოფიციალური თამაშების ჩატარება აიკრძალა 1990 წლის 31 დეკემბრამდე.

საბოლოოდ ამ მატჩში მოგება კიპროსის გუნდს ჩაეთვალა ანგარიშით 3:0, ახლა ჯგუფში გამარჯვებულის საკითხს გადაწყვეტს ჰოლანდიისა და საბერძნეთის გუნდების შეხვედრა, რომელიც 16 დეკემბერს შედგება ბერძნების მინდორზე ათენში.

ამ ჯგუფში 11 ნოემბერს შედგა ერთი მატჩი, პოლონელმა ფენბურთელებმა სტუმრად მოუგეს კიპროსის გუნდს — 1:0.

სატურნირო მდგომარეობა V ჯგუფში ახლა ასეთია:

ჰოლანდია	7	4	2	1	8-4 10
საბერძნეთი	7	4	1	2	12-10 9
პოლონეთი	8	3	2	3	9-11 8
უნგრეთი	7	3	0	4	12-11 6
კიპროსი	7	1	1	5	6-11 3

VI ჯგუფი

ჩეხოსლოვაკიელმა ფენბურთელებმა პრაღაში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს უელსის ნაკრები, მათი ამ გამარჯვების შემდეგ ამ შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი წილად ხვდა დანიის ნაკრებს.

დანია	6	3	2	1	4-2 8
ჩეხოსლოვაკია	6	2	3	1	7-5 7
უელსი	6	2	2	2	7-5 6
ფინეთი	6	1	1	4	4-10 3

VII ჯგუფი

ბულგარეთის ნაკრებს კარგი შესაძლებლობა ჰქონდა ფინალის საგზური მოეპოვებინა, საამისოდ მას თავის მინდორზე, სოფიაში უნდა მოეგო შოტლანდიის გუნდისთვის, მაგრამ შოტლანდიელმა მაკეიმ 86-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში, შოტლანდიელებმა გაიმარჯვეს — 1:0 და ბულგარელები ფინალის მიღმა დარჩნენ.

ბელგიელმა ფენბურთელებმა ამავე დღეს თავიანთ მინდორზე ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ლუქსემბურგის ნაკრები.

ამ ჯგუფში 2 დეკემბერს ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ლუქსემბურგისა და შოტლანდიის გუნდები, მაგრამ გამარჯვებულის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ფინალის საგზური ირლანდიის ნაკრებმა მოიპოვა.

ირლანდია	8	4	3	1	10-5 11
ბულგარეთი	8	4	2	2	12-6 10
ბელგია	8	3	3	2	16-8 9
შოტლანდია	7	3	2	2	7-5 8
ლუქსემბურგი	7	0	0	7	2-23 0

კახი კახიაშვილი პერსპექტიული ძალოსანია

აზხაბაღში ჩატარდა 1969 წლამდე დაბადებულ ძალოსანთა საკავშირო პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი შტანგისტები. როგორც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოლეგ პისარევსკიმ აღნიშნა, ბოლო წლებში იუნიორმა ძალოსნებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მსუბუქ წონებში ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი გამოჩნდა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ შეჯიბრების პროცესში არაერთი საკავშირო რეკორდი გაუმჯობესდა.

მწვრთნელის აზრით, არც საშუალო წონებშია ცუდად საქმე. მან დაასახელა ის ძალოსნები, რომლებზეც მწვრთნელთა საბჭო განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს. ესენია გროზნოელი მ. საიდულაევი, ცხინვალელი კ. კახიაშვილი (82,5 კგ) და როვნოელი ი. ვოსკობოინიკოვი (90 კგ).

ლიდერთა ჯგუფში

ლვოვში მიმდინარე სსრ კავშირის I ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში გათამაშდა V ტურის შეხვედრები. ტურნირში მეორე გამარჯვება ზემიმა ახალგაზრდა ქართველმა ოსტატმა, შეჯიბრების დებიუტანტმა ლაშა ჯანჯღავამ. ამჯერად მან მოსკოველ ა. დრეევს მოუგო. ხელი მოეცარა მეორე თბილისელ მოჭადრაკეს, დიდოსტატ გენადი ზაიჩიკს, რომელიც ამ დღეს შეჯიბრების ერთ-ერთ ლიდერთან, ლვოველ საერთაშორისო ოსტატ ვ. ივანჩუკთან დამარცხდა. V ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ვიშმანავიჩი-პანჩენკო — 1:0, რომანიშინი-ნოვიკოვი — 1:0, იუდასინი-გურევიჩი — 0,5:0,5, ჩერნინი-მალიშაუსკასი — 0,5:0,5, კაიდანოვი-ბარეევი — 1:0, გავრიკოვი-ლუტიანი — 0,5:0,5. გადაიდო როზენტალ-მიხალჩიშინის შეხვედრა.

ჭადრაკის ამბები

სან-დიეგო (აშშ). სსრ კავშირის ქალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ მორიგი მატჩი გამართა ადგილობრივ სტუდენტთა ჯუნდთან და გაიმარჯვა — 94:65 (44:22). საბჭოთა სპორტსმენებმა ჯერჯერობით აშშ-ში ჩატარებული ყველა შეხვედრა მოიგეს. ამ ბოლო მატჩში ტარაკანოვმა და ხომიჩუსმა თავის კოლექტივს 15-15 ქულა შესძინეს.

სეული. საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა საერთაშორისო ფედერაციის თასი მოიპოვა. ფინალში მან მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი აშშ-ს გუნდი დაამარცხა — 3:2. მესამე ადგილი ჰოლანდიელებმა დაიკავეს, რომლებმაც ბულგარელებს აჯობეს — 3:0.

ბერნი. სამთო-სათხილამურო სპორტის სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ზოგმა სპორტსმენმა ვარჯიშზე უკვე სერიოზული ტრავმა მიიღო. ასე მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, შვეიცარიელი კარლ ალპიგერი ერთ-ერთ ვარჯიშზე ისე დაშავდა, რომ გაისამდე შეჯიბრებებში ვერ გამოვა.

ხენტ-პიტერსბურგი (აშშ, ფლორიდას შტატი). საგზატკეცილო რბოლურ ავტომობილში ტრანსამერიკული დიდი პრიზის გათამაშების დროს ტრაგიკულად დაიღუპა 66 წლის ავტომობილისტი ჯიმ ფიცჯერალდი. იგი აშშ-ს ერთ-ერთი უხუცესი მრბოლი იყო. წარმატებით გამოდიოდა როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში. 1955 წელს პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი საგზატკეცილო-რკალურ რბოლაში. მას შემდეგ 250 პრიზი ჰქონდა მოპოვებული. შარშან ანალოგიურ შეჯიბრებაში ფიცჯერალდმა II ადგილი დაიკავა, პოპულარული კინომსახიობის, 62 წლის პოლ ნიუმენის შემდეგ.

ჩიკაგო. „ვირჯინია სლიმზის“ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოდის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მინსკელი ნატალია ზვერევა. მეორე წრეში მან ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი კლაუდია კოდე-კილში (გფრ) დაამარცხა — 6:4, 6:2. მეორე საბჭოთა სპორტსმენმა, მოსკოველმა ნატალია ბიკოვამ კი სასტარტო შეხვედრა წააგო მერი ლუ დენიელსთან (აშშ) — 3:6, 3:6.

შვეპინი (გდრ). ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში დამაჯერებლად ლიდერობს მოსკოვის „დინამო“, რომელმაც ორ მატჩში ორი გამარჯვება მოიპოვა. ჯერ პოლონეთის კლუბი „ჩარნი“ დაამარცხა (3:1), მერე კი ადგილობრივ „ტრაქტორსაც“ აჯობა (3:0). შეჯიბრებაში ამ გუნდების გარდა მონაწილეობენ ბერლინის „დინამო“ და მინსკის „კომუნალნიკი“. ამ კოლექტივების ურთიერთშეხვედრაში ბერლინელმა ფრენბურთელებმა იმარჯვეს — 3:1.

ტრონჰეიმი. ნორვეგიის ამ ქალაქში დაიწყო ხელბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა სასტარტო შეხვედრა უნგრეთის ნაკრებს მოუგო — 27:20 (13:10). მოულოდნელი შედეგით აღინიშნა ორი სხვა შეხვედრა. ნორვეგიელებმა იუგოსლავიელები დაამარცხეს — 22:19 (13:10), სამხრეთ კორეის გუნდმა კი გდრ-ის ნაკრებს აჯობა — 24:20 (11:10).

სპორტულ ბაზებზე

ფენბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 14 ნოემბერი. ასკ-ს სტადიონ. „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „ხაპოვნელა“ (თერჯოლა). დასაწყისი 15 საათზე. **15 ნოემბერი.** ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე).** 12 ს.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 14 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **10.25 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ენევმატური იარაღის სროლაში (გადაცემა უნგრეთიდან) — **18.45 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **19.50 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფენბურთში: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი) — **20.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „დინამო“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ — **21.20 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 14 ნოემბერი. ჭაბუკები — კალათბურთის სამშობლოდან — **15.00.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 61433. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380006, თბილისი, ფეშინის ქ. 14. იტყვდება იოსებიდან წერით სიმაღლეთ კორპუს სზე, სოციალისტის ქ. 20. უე 07224